# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-38

15/01/2019 ქ. თბილისი

**წყალტუბოს, ვანის, ადიგენის და ახალციხის მუნიციპალიტეტში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ 500კვ ძაბვის საჰაერო ეგხ-ს „წყალტუბო-ახალციხის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის მე-28 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გაიცეს წყალტუბოს, ვანის, ადიგენის და ახალციხის მუნიციპალიტეტებში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ 500კვ ძაბვის საჰაერო ეგხ-ს „წყალტუბო-ახალციხის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა #58; 21.12.2018წ.

2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ვალდებულია გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს #58; 21.12.2018წ სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;

3.ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“

4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და წყალტუბოს, ვანის, ადიგენის და ახალციხის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი